



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 71

ქ.ბათუმი

23/08/2018

71-06-4-201808231610



მალხაზ სალვარიძისა და მინდია დიასამიძის თუშეთში მივლინების შესახებ

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“-ს მენეჯერის 2018 წლის 23 აგვისტოს №232/06 მიწვევით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მალხაზ სალვარიძის 2018 წლის 23 აგვისტოს №184-06 მოხსენებითი ბარათის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მინდია დიასამიძის 2018 წლის 23 აგვისტოს №185-06 მოხსენებითი ბარათისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების თანახმად **ვბრძანებ:**

1. **მალხაზ სალვარიძე**-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **მინდია დიასამიძე** მივლინებულ იქნენ გაცნობით ტურზე თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მონაწილეობის მისაღებად ხუთი დღის ვადით, **2018 წლის 24 აგვისტოდან 2018 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით.**
2. ბრძანების შესრულება დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე